საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/51 " 22 " მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ც. როხვაძის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ციცინო როხვაძე 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდში ციცინო როხვაძის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (გ. მიქაუტაძე; ი. შენგელია; ი. ბონდარენკო) და სამი არამოსამართლე (შ. ქადაგიძე; ა. დოლიძე; ნ. ჯანეზაშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ციცინო როხვაძის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 496 ქულას, რაც წარმოადგენდა ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 82,67%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენიერაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ნ. ჯანეზაშვილი; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ა. დოლიძე) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ციცინო როხვაძე 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი